

სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო  
უნივერსიტეტი



2019 წლის ანგარიში



სარჩევი

შესავალი -----	3
მზადება ავტორიზაციისათვის -----	4
საგანმანათლებლო პროგრამები -----	5
ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა -----	7
პერსონალის პროფესიული განვითარება -----	8
კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები -----	12
ხარისხის უზრუნველყოფა -----	14
შემოქმედებითი მუშაობა -----	14
კვლევითი მუშაობა და საგამომცემლო საქმიანობა -----	19
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა -----	24
დანართი 1 -----	26
დანართი 2 -----	28



## შესავალი

1995 წლის 29 სექტემბერს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმში ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი დაარსდა. რამდენიმე წელიწადში ხელოვნების ინსტიტუტი იქცა წამყვან სახელოვნებო საგანმანათლებლო ცენტრად. ხელოვნების ინსტიტუტში 3 ფაკულტეტი და 9 კათედრა არსებობდა. 1996 წელს ხელოვნების ინსტიტუტთან გაიხსნა საბალეტო სტუდია ორი ასაკობრივი ჯგუფისათვის. 1999 წელს საბალეტო სტუდია გამოეყო ხელოვნების ინსტიტუტს საბალეტო სკოლა-სასწავლებლის სტატუსით. 1998 წელს ხელოვნების ინსტიტუტის მუსიკალურ დისციპლინათა ფაკულტეტის ბაზაზე გაიხსნა ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო, სახელოვნებო და ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №137 დადგენილებით ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი და ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორია გაერთიანდა ახლადდაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ხელოვნების ფაკულტეტის სტატუსით.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს №146 დადგენილებით სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა სსიპ-ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტი, რომელსაც საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 ოქტომბრის №180 დადგენილებით ეწოდა სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი.

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი საქართველოში არის ერთადერთი უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ერთდროულად ახორციელებს სწავლებას ხელოვნების ოთხი დარგის მიმართულებით: თეატრი, კინო, მუსიკა, სახვითი ხელოვნება. უნივერსიტეტში სწავლება ორსაფეხურიანია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა. დარგობრივი მიმართულებების მიხედვით ჩამოყალიბებულია სამი ფაკულტეტი: სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების; მუსიკის; განათლების ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნებისა და მუსიკის ფაკულტეტი ახორციელებს სწავლებას სახელოვნებო მიმართულების სამეცნიერო და თეორიულ პროგრამებზე, განათლების ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი - შესაბამისი მიმართულების თეორიულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების მასწავლებლის მომზადების დამოუკიდებელ (60 კრედიტიან) პროგრამაზე.

უნივერსიტეტში პროფესიულ, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე 400-მდე სტუდენტი სწავლობს, სასწავლო და კვლევით პროცესში ჩართულია 39 აკადემიური პირი, 138 მოწვეული სპეციალისტი, 112 ადმინისტრაციული პირი.

ხელოვნების უნივერსიტეტი ემსახურება სახელოვნებო დარგის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საქმეს, ხელს უწყობს ხელოვნებისა და კულტურის მიმართულებით სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი პროცესების განვითარებას.

უნივერსიტეტი განთავსებულია ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ისტორიულ შენობაში, რომელშიც შექმნილია სახელოვნებო პროგრამების მოთხოვნებზე მორგებული მოდერნიზებული თანამედროვე სასწავლო გარემო.

უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს რეგიონის კულტურულ ცხოვრებაში, ჩართულია რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტებში. მჭიდრო ურთიერთობა აქვს ქვეყნის სახელოვნებო პროფილის წამყვან უმაღლეს დაწესებულებებთან, თანამშრომლობს



კულტურის მიმართულების უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო თუ შემოქმედებით ორგანიზაციებთან. უნივერსიტეტი წარმოადგენს კულტურისა და ხელოვნების მიმართულების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების დამფუძნებელს რეგიონში. უნივერსიტეტის პერსონალი მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედებით, სამეცნიერო ღონისძიებებში. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები გამოირჩევიან დასაქმების მაღალი მაჩვენებლითა და კვალიფიციურობით.

### 1. მზადება ავტორიზაციისათვის

2019 წლის განმავლობაში, განსაკუთრებით პირველ ნახევარში მიმდინარეობდა მუშაობა ჯერ კიდევ 2017-2018 წლებში დაწყებული პროცესების, უნივერსიტეტის მისიისა და მიზნების, 7 წლიანი სტრატეგიული გეგმის, სამწლიანი სამოქმედო გეგმების ამოცანების სრულყოფის მიზნით. საავტორიზაციო განაცხადის, თვითშეფასების ანგარიშის შედგენის პროცესში შესრულდა საუნივერსიტეტო საქმიანობის მრავალმხრივი ანალიზი, დაისახა სამომავლო განვითარების პერსპექტივები და სტრატეგიული ამოცანები. ხელოვნების უნივერსიტეტის არსებული მდგომარეობის, განვითარების შესაძლებლობების, პრიორიტეტებისა და გამოწვევების შესაფასებლად ჩატარდა SWOT ანალიზი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სტრატეგიული განვითარების გეგმა.

ხელოვნების უნივერსიტეტი აცნობიერებს თავის მისიას ქვეყნისა და რეგიონის წინაშე, მზად არის საქართველოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების სისტემაში დამკვიდრებული ტრადიციების გათვალისწინებით დანერგოს თანამედროვე სწავლების ნოვატორული მეთოდები და მოამზადოს სახელოვნებო დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შემოქმედებით წვლილს შეიტანენ ეროვნული კულტურის, ტრადიციებისა და ფასეულობების განვითარებაში.

2019 წლის დასაწყისში მიმდინარეობდა ინტენსიური მუშაობა სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტების, მიზნების, ამოცანების განსაზღვრისა და სრულყოფის მიზნით. ბაზრის კვლევის, ტრადიციების, აკადემიური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით გამოიკვეთა უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების 5 პრიორიტეტი, მოსალოდნელი შედეგებითა და მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით:

1. სასწავლო პროცესების დაგეგმვა და განხორციელება;
2. შემოქმედებითი მუშაობა;
3. კვლევითი მუშაობა და საგანმანათლებლო საქმიანობა;
4. აბიტურიენტებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან მუშაობა;
5. უნივერსიტეტის მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი და სამოქმედო სამწლიანი გეგმები, აგრეთვე, პერსონალის მომზადება/გადამზადების გეგმის პროექტები განხილული და დამტკიცებულ იქნა აკადემიური საბჭოს (2019 წლის 20 მარტი) და წარმომადგენლობითი საბჭოს (2019 წლის 20 მარტი) სხდომებზე.

SWOT ანალიზის საფუძველზე წარმოჩნდა უნივერსიტეტის ძლიერი და მხარეები:



ბხსუ არის დასავლეთ საქართველოში უაღტერნატივო უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, მრავალწლიანი წარმატებული გამოცდილებით, აკადემიური-ადმინისტრაციული რესურსითა და მისიის შესაბამისი ინფრასტრუქტურით, გამორჩეული თავისი ადგილმდებარეობით, გეოგრაფიული გარემოთი.

უნივერსიტეტის გამოწვევებია: განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესის უზრუნველყოფა აკადემიური და ფინანსური რესურსებით; მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და მიზნების უზრუნველყოფა სამოქმედო ამოცანებით; რეგიონში კულტურისა და ხელოვნების შემოქმედებითი პროცესების და კვლევების განვითარებისათვის ხელშემწყობი აქტივობების განხორციელება.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით № 42. 02.12..2019 სსიპ- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ 245628496) 6 წლის ვადით მიენიჭა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 900 სტუდენტით.

## 2. საგანმანათლებლო პროგრამები

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით № 42. 02.12..2019

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭა უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:

1. დიზაინი (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი). (კვალიფიკაცია: დიზაინის ბაკალავრი);
2. არქიტექტურა ( არქიტექტურის ბაკალავრი);
3. ფერწერა ( სახვითი ხელოვნების ბაკალავრი);
4. სამსახიობო ხელოვნება (თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი);
5. აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა, ტელერეჟისურა) (აუდიოვიზუალური ხელოვნების ბაკალავრი);
6. სამოსის დიზაინი (დიზაინის მაგისტრი);
7. სამემსრულებლო შემოქმედებითი ხელოვნება (დრამის რეჟისურა; თოჯინების თეატრის რეჟისურა) (თეატრალური ხელოვნების მაგისტრი);
8. აუდიოვიზუალური ხელოვნება (მხატვრული კინოს რეჟისურა) (აუდიოვიზუალური ხელოვნება მაგისტრი);
9. ხელოვნებათმცოდნეობა (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი);
10. ტელე-რადიო ჟურნალისტიკა, კვალიფიკაცია (მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი);
11. კულტურის მენეჯმენტი (მენეჯმენტის ბაკალავრი);
12. კულტურული ტურიზმი (ტურიზმის ბაკალავრი);
13. ხელოვნების მენეჯმენტი (ხელოვნების მენეჯმენტის მაგისტრი);
14. ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა) - ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი;
15. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი (კვალიფიკაცია არ ენიჭება);
16. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (კვალიფიკაცია არ ენიჭება);



17. სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, საორკესტრო) (სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი);
18. სამუსიკო შემსრულებლობა (კლავიშებიანი საკრავები, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო) (სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი).

2019 წელს გაიარა აკრედიტაცია :

*სამაგისტრო პროგრამებმა:*

სამოსის დიზაინი, ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა);  
სამუსიკო შემსრულებლობა (კლავიშებიანი საკრავები, აკადემიური სიმღერა;  
აკადემიური გუნდის დირიჟორობა; საორკესტრო);

*საბაკალავრო პროგრამებმა:*

არქიტექტურა;

სამსახიობო ხელოვნება;

აუდიოვიზუალური ხელოვნება;

კულტურული ტურიზმი.

*რეაკრედიტაციაზე წარდგენილია:*

ქართული ენის მომზადების პროგრამა;

ბაზრის კვლევის საფუძველზე შემუშავდა და კრედიტაციაზე წარსადგენად მზად არის მუსიკის მასწავლებლის 60 კრედიტიანი დამოუკიდებელი პროგრამა, რომელიც გათვალისწინებულია საჯარო სკოლების მუსიკის მასწავლებელთათვის უფრო მაღალი სტატუსის მოსაპოვებლად.

ბაზრის კვლევის მოთხოვნების მიხედვით, უწყვეტი განათლების ცენტრის ბაზაზე შემუშავებულია 18 პროგრამა/სასწავლო კურსი.

- საექსკურსიო საქმე;
- სამუზეუმო და საარქივო საქმე;
- ხელოვნების მასწავლებელი;
- კულტურული ტურიზმის გიდი;
- მუზეუმის მენეჯმენტი;
- მუზეუმის თანამედროვე ტექნოლოგიები;
- ქორეოგრაფია და საგადგმო ხელოვნება;
- ქართულ ენაში მომზადების პროგრამა;
- ხელოვნებათმცოდნეობა;
- სამოსის დიზაინი;
- ტექსტილის დიზაინი;
- ბატიკი;
- მინანქარი;
- დრამის სამსახიობო;
- თოჯინების თეატრის სამსახიობო;
- ადამიანური რესურსებისა და მართვის წარმოების საფუძველები;
- კულტურის მენეჯმენტი;
- საბიბლიოთეკო საქმე;
- საორკესტრო ინსტრუმენტების (საყვირი, კონტრაბასი, დასარტყამი ინსტრუმენტები);
- მუსიკის თეორიის საწყისები.



### 3. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

ბხსუ-ს მართვის ორგანოების საქმიანობას აწესრიგებს უნივერსიტეტის წესდება, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებები, სამართლებრივ-ნორმატიული აქტები.

ბხსუ-ს ძირითად საგანმანათლებლო საქმიანობას უზრუნველყოფენ სტრუქტურული ერთეულები - ფაკულტეტები და დარგობრივი დეპარტამენტები.

ბხსუ-ს მართვაში და სასწავლო პროცესების ადმინისტრირებაში გამოყენებულია თანამედროვე ტექნოლოგიები - ბხსუ-ს სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონული სისტემა, ელექტრონული საქმისწარმოება.

მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაში გათვალისწინებულია სახელოვნებო სწავლების სპეციფიკა. 2019 წელს დამოუკიდებელი ფორმით ჩამოყალიბდა შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილება და სამეცნიერო-საგამომცემლო განყოფილება. ამ განყოფილებების დამოუკიდებელი ფორმით ჩამოყალიბება განპირობებული იყო სტრუქტურის დონზე სახელოვნებო სასწავლებლის სპეციფიკის გათვალისწინებით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომლის მიზანია სასწავლო საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო პროცესების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. ამ მიმართულებით დასაძლევია ენობრივი ბარიერით გამოწვეული პრობლემები; სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის დაბალი აქტივობა; მწირი ფინანსური რესურსები საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისათვის.

ბხსუ-ს გააჩნია განახლებული კომპიუტერული ტექნიკის ბაზა, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა, უზრუნველყოფილია ინტერნეტით შეუზღუდავი სარგებლობა, საქმის წარმოების ელექტრონული სერვისი.

✓ ნორმატიული ბაზის სრულყოფა:

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განახლებული სტანდარტებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა უნივერსიტეტის მოქმედ სამართლებრივ აქტებში ცვლილებების შესატანად და ახალი აქტების მისაღებად. რიგი ცვლილებები განპირობებული იყო საქართველოს საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებში განხორციელებულ ცვლილებებთან საუნივერსიტეტო აქტების შესაბამისობაში მოყვანით.

2019 წელს მომზადდა რამდენიმე ცვლილება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის, შინაგანაწესის, მისიის, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და გეგმების შესრულების მონიტორინგის წესის, უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების, არჩევნების ჩატარების დებულების, მუსიკის ფაკულტეტის დებულების, სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დებულების, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების, პერსონალის მართვის პოლიტიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესის, საქმისწარმოების ინსტრუქციის, აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის, პროგრამული დაფინანსების გაცემის წესის, წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის, საგამომცემლო საქმიანობის შესახებ დებულების, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების, კოდების მინიჭების წესის, სტუდენტთა პრაქტიკის შესახებ დებულების, ბიბლიოთეკის დებულების. დამტკიცდა სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების დებულება, შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილების დებულება, სტუდენტური შემოქმედებითი პროექტების



დაფინანსების წესი, წესდების ცვლილების გადამუშავებული პროექტი, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, საფინანსო სამსახურის დებულება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულება, პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესი, სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის განახლებული დებულება, გარდა ამისა, ყოველწლიურად მტკიცდება შესაბამისი სასწავლო წლისათვის აბიტურიენტთა და მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესი. (დეტალურად იხ. დანართი 1) .

#### 4. პერსონალის პროფესიული განვითარება

##### ✓ ტრენინგები

ა) 2019 წლის 24 აპრილი - რეესტრის წარმოებისა და დიპლომების განყოფილების მიერ ჩატარებული ტრენინგი „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რეესტრში შესატანი ინფორმაციისთვის ფაკულტეტების მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის წარმოების“ შესახებ;

ბ) 2019 წლის 15 ნოემბერი - ტრენინგი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 5 აგვისტოს №158/ნ ბრძანების საფუძველზე დიპლომის დანართის შევსების წესში შეტანილი ცვლილებების გაცნობის მიზნით. პასუხისმგებელი სტრუქტურა: რეესტრის წარმოებისა და დიპლომების განყოფილება.

გ) ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის, ბხსუ-ს მოწვეული სპეციალისტის ზვიად ბერაძის ტრენინგები ელექტრონული ჟურნალის ამოქმედებასთან დაკავშირებით (04.11.2019; 12.06.2019). ამავე საკითხებზე დეპარტამენტების აკადემიური პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგები ელექტრონული ჟურნალის კოორდინატორის - ანა პაიჭაძის მიერ.

დ) 2019 წლის მაისი: ტრენინგები სხვადასხვა სამიზნე აუდიტორიასთან (უნივერსიტეტის პედაგოგებთან და სტუდენტებთან) საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებზე წვდომის პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესაძენად ( EBSCO –Publishing, OPEN- Biblio).

ე) 2019 წლის ივნისი: თბილისში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ტრენინგ ცენტრის ფარგლებში, ELSEVIER-ის კონსორციუმი წევრი ინსტიტუციების წარმომადგენლებისათვის გაიმართა ტრენინგი „სამეცნიერო ბაზების მოხმარებასთან დაკავშირებით“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა.

ვ) ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელმა მონაწილეობა მიიღო ტრენინგში, რომელიც ჩატარდა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში. თემა: „მარკეტინგისა და პრომოუტინგის ბაზისები...“ ტრენინგი ჩაატარა პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრმა მ. საფარიძემ. ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელმა მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი.

##### ✓ აქტივობები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

- 2019 წლის 30-31 ოქტომბერი: მონაწილეობა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში, Erasmus + საქართველოს ეროვნული ოფისის ორგანიზებით გამართულ საერთაშორისო საკონტაქტო სემინარში ევროპის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებთან. სემინარს ესწრებოდნენ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მაია ჭიჭილეიშვილი და სამეცნიერო და





საგამომცემლო დეპარტამენტის სპეციალისტი, სალომე ჩიკაშუა, რომლებმაც საინფორმაციო შეხვედრები გამართეს სახელოვნებო პროფილის ევროპის უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან და დასახეს სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები. აღნიშნული სემინარის მიზანი იყო Erasmus + მომავალი კონკურსისათვის პარტნიორების მოძიება. სემინარში მონაწილეობა მიიღეს ევროპის 10 ქვეყნის 59-მა წარმომადგენელმა.

- 16 სექტემბერი: საერთაშორისო მუსიკალური შეხვედრის “Glomus meets the silk road” - ის ფარგლებში, ჰელსინკის მუსიკის აკადემიის სერთაშორისო დეპარტამენტის უფროსის ტუოვი მარტინენისა და დანიის მუსიკის სამეფო აკადემიის ვიცე-რექტორის - კელ ოსბონის ტრენინგი უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე. ტრენინგს ესწრებოდნენ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები. დისკუსიის პროცესში აღინიშნა, რომ ეს შეხვედრა მნიშვნელოვანია მდგრადი პარტნიორობის ჩამოყალიბებისთვის, საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში ქართული სახელოვნებო საგანმანათლებლო უმაღლესების კიდევ უფრო აქტიური ჩართვისთვის (ერასმუსი, სტრატეგიული პარტნიორობა, ჰორაიზონ 2020, Creative Europe), ქართული უმაღლესი განათლების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ინტეგრაციისათვის.
- 3 ივლისი 2019 წელი: 3 ივლისიდან 7 ივლისის ჩათვლით ბაზელის მუსიკის აკადემიაში (შვეიცარია) მიმდინარეობდა შუასაუკუნეების და რენესანსის ეპოქის მუსიკის საერთაშორისო კონფერენცია. მუსიკის ფაკულტეტის პროფესორმა ხათუნა მანაგაძემ 5 ივლისს წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ქართული და ევროპული საეკლესიო მუსიკა. განვითარების თავისებურებები“.
- 07.2019. ტრენინგი-უცხოეთში მიღებული განათლების/კრედიტების აღიარება და შეფასების კონვერტაცია. ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების, სტუდენტთა აკადემიურ მობილობის, კერძოდ, უცხოეთში მიღებული განათლების/კრედიტების აღიარებისა და შეფასების კონვერტაციის ტრენინგი ჩატარდა თბილისში, რომელსაც ესწრებოდა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო და საგამომცემლო დეპარტამენტის სპეციალისტი სალომე ჩიკაშუა. ერასმუს+ ინსტიტუციური განვითარების პროექტიდ „Paving the way to interregional mobility and ensuring relevance, quality and equity of access (PAWER)” გარგლებში დაგეგმილი პროექტი განხორციელდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. ტრენინგს უძღვებოდა მიდლსექსის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პროფესორი ჯორჯ დეფულასი. ტრენინგის დასასრულს მონაწილეები დაჯილდოვდნენ მიდლსექსის უნივერსიტეტის სერტიფიკატით.
- 2019 წლის 19 ივნისი: ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი მაია ჭიჭილეიშვილი, სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების სპეციალისტი სალომე ჩიკაშუა დაესწრნენ Erasmus+ ეროვნული ოფისის ორგანიზებით ჩატარებულ სემინარს. სემინარის თემატიკა ეხებოდა პროგრამის პრიორიტეტების, საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობების, უპირატესობების და სიახლეების გაცნობას.
- 2019 წლის 15 ივნისი: ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის პროფესორის ხათუნა მანაგაძის ლექცია ლიტურჯის ქალაქ ტელშიას ისტორიის მუზეუმში თემაზე - „ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია“.
- 2019 წლის 3 ივნისი: ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში გაიმართა შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორსა და კიევის თოჯინების აკადემიური თეატრის და კიევის ი.



კარპენკო-კარის სახელობის თეატრის, კინოსა და ტელევიზიის ნაციონალური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით დელეგაციას შორის. სტუმრებმა გამოთქვეს თავიანთი შთაბეჭდილებები გ. დოჩანაშვილის რომანის „სამოსელი პირველი“ ნაწყვეტის მიხედვით რეჟისორ თ. ბოლქვაძის მიერ დადგმული პერფორმანსისა და რეპეტიციის შესახებ, რომელიც წარმოადგენს დრამისა და კინოს სამსახიობო სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტებმა.

- 6-7 მაისი: უნივერსიტეტის რექტორი დაესწრო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით ჩატარებულ მასშტაბურ ფორუმს „საქართველო, ევროპა“, რომლის მთავარი მიზანია ხელოვნებისა და კულტურის მეშვეობით საქართველოს ევროპაში და ევროპის საქართველოში წარმოჩენა. ქართველმა და საერთაშორისო მომხსენებლებმა ისაუბრეს კულტურის როლზე ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური და სოციალური განვითარების ჭრილში, ევროპელ პარტნიორებთან თანამშრომლობის, კულტურათაშორისი დიალოგის მნიშვნელობაზე.
- 22 მარტი: ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ნანა შარიქაძის სემინარი უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე. სემინარზე ისაუბრეს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის გამოცდილების, უცხოეთის მუსიკალურ საგანმანათლებლო ცენტრებთან ურთიერთობის ფორმების, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მიღწეული შედეგების შესახებ.

✓ *ჯილდოები*

მიმდინარე სასწავლო წლის დასასრულს წარმატებული და ნაყოფიერი შემოქმედებისათვის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოვდნენ ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები:

- ე. ბათუმის მერიის წლის წარმატებული ხელოვანის „დიდოსტატის“ ნომინაციაში: უნივერსიტეტის ემერიტუსი ვახტანგ (ბესო) ბესელია, ასოცირებული პროფესორი სერგო გოგოლაძე და ასისტენტ-პროფესორი ბექა ბოლქვაძე ქვეყნის მასშტაბითა და მის ფარგლებს გარეთ მნიშვნელოვანი პროფესიული წარმატებებისა და ეროვნული კულტურის განვითარება-პოპულარიზაციაში პირადი წვლილის შეტანისათვის.
- აჭარის არ განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ჯილდოს „კულტურის სფეროს ღვაწლმოსილი ხელოვანის“ მფლობელი გახდა უნივერსიტეტის პროფესორი თამილა მეიშვილი.
- ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში შეტანილი წვლილისა და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის საქართველოს ქორეოგრაფთა პროფესიული კავშირის „ოქროს მარჯის“ ორდენით დაჯილდოვდა შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილების უფროსი, მირანდა ბაღდადიშვილი.

✓ *უნივერსიტეტის პერსონალის აქტივობები საქართველოს სახელოვნებო სკოლებში*

- ხელოვნების უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის ქეთევან გოგოლაძის მიერ ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის მასწავლებლებისათვის და V-VII კლასის



## სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

მოსწავლეებისათვის ჩატრდა ლექციები და გაკვეთილები სამუსიკო სწავლების მეთოდულ კაზში.

- მარტში ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში გაიმართა მოსწავლეების მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების - თამარ ჩიმაკაძის, თამარ წულაძისა და მზია კობალაძის მოსწავლეების გამოფენა-მასტერკლასი. გამოფენაში მონაწილეობას მიიღეს ბათუმის IV საჯარო სკოლის, წმინა ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზიისა და სკოლა "ნიკეს" მოსწავლეებმა. გამოფენა-მასტერკლასის ორგანიზატორი იყო ქეთევან ფილიპოვა.
- 12-14 ნომბერი: ბათუმის სტუდენტური თეატრების საერთაშორისო ფესტივალ „დებიუტის“ ფარგლებში (14. 11.2019) ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის პედაგოგებმა ჩაატარეს მასტერკლასიები „სამსახიო ოსტატობაში, მეტყველებასა და რიტმიკაში“ ლატვიის, ლიეტუვას, ესტონეთის, უკრაინის უნივერსიტეტის არაპროფესიული სტუდენტური თეატრების დასის წევრებისათვის (12 ნომბერი: რეჟისორი გიორგი ქათამაძე, მეტყველების პედაგოგი თეა ცაგურია; 14 ნომბერი: რიტმიკის პედაგოგი თამარ ბერიძე, კონცერტმეისტერი ვალია მალხასიანი).
- 2019 წლის 16 მაისს საზოგადოება „არტ-ალტერნატივას“ მიერ ინიცირებული პროექტის „კოლაბორაცია 2“-ის ფარგლებში ქალაქ ფოთში არჩილ ხორავას სახელობის სახელოვნებო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში კლასიკური მუსიკის კონცერტი გაიმართა. „კოლაბორაცია 2“-ის“ მხარდამჭერი იყო ქალაქ ბათუმის მერია. პროექტი ხორციელდებოდა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის ბაზაზე. ოთხწლიანი ისტორიის მქონე პროექტის მიზანი იყო ბათუმის ახალგაზრდული საორკესტრო ჯგუფის ჩამოყალიბება. არსებობის დღიდან საორკესტრო ჯგუფმა 80-მდე სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები მოამზადა და განსხვავებული აუდიტორიის წინაშე წარადგინა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ჯგუფის დირიჟორია გიორგი აფრიაშვილი, რომელიც სპეციფიკური შემადგენლობისთვის ამზადებს არანჟირებულ რეპერტუარს. წელს პროექტს შეემატა ახალი სემინტი ვოკალური ჯგუფის სახით, რომელიც, ქორმაისტერ სალომე ცეცხლამესთან ერთად, წარმატებულად ჩაერთო შემოქმედებით კოლაბორაციაში. ახალგაზრდული შემოქმედებითი ჯგუფის პარტნიორი პიანისტი იყო ბხსუ-ს კონცერტმაისტერი - ნინო ნიშნიანიძე.
- ხელვაჩაურის ახალგაზრდობის ცენტრში სისტემატურად ტარდება ბხსუ-ს ასისტენტის-ნატო ცქვიტინიძის ლექციები და კინოჩვენებები.



## 5. კარიერული მზარდაჭერის ღონისძიებები

2018 წელს სტუდენტთა კარიერული მზარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტში შეიქმნა შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მზარდაჭერის განყოფილება, რომლის მისიაა სტუდენტების ხელშეწყობა, წარმატებული პირადი და პროფესიული თვითრეალიზების მიზნით, შრომის ბაზარზე დამკვიდრებისათვის მათი ცოდნისა და ინტერესების შესაბამისად. განყოფილებამ არსებობის მცირე პერიოდში განახორციელა რიგი აქტივობებისა. 2019 წლის განმავლობაში შედგა შეხვედრები დამსაქმებლებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან, მოეწყო წარმატებული სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა, დასაქმების სააგენტოებთან შეხვედრა, სტუდენტების დახმარება CV - ისა და სამოტივაციო წერილების შედგენაში და სხვა.

ჩატარებული აქტივობები:

- შეხვედრა თითების თეატრის დამფუძნებელთან, რეჟისორთან ბესო კუპრეიშვილთან.
- არასამთავრობო ორგანიზაცია "საორსას" ინიციატივით, პროექტის "პროფესიული ორიენტაცია აჭარის რეგიონში მცხოვრები მოსწავლეთათვის" მონაწილეობა პროექტის ფარგლებში გამართულ განათლების ფორუმში;
- შეხვედრა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილესთან - ალექსანდრე დავითაძესთან;
- შეხვედრა აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გამოცხადებული პროექტების ფარგლებში გამარჯვებული პროექტის „აჭარის ცნობილი და უცნობი კულტურული მარშრუტები“ - ააიპ "Creative SPARK" – “შემოქმედებითი ნაპერწკალი“-ის წარმომადგენლებთან, პროექტში მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა;
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, მოეწყო შენობა-ნაგებობათა არქიტექტურის სპეციალობის III კურსის სტუდენტის დავით რომანაძის ნამუშევრების გამოფენა ქანდაკებაში, ფერწერასა და გრაფიკაში;
- სამოსის დიზაინის პროგრამის I, II, III კურსის სტუდენტები შეხვედრენ უნივერსიტეტის სამოსის დიზაინის პროგრამის კურსდამთავრებულებს: თეა ხელაძეს, მაია ბოლქვაძეს და ნანა გოგიაშვილს, რომლებმაც განავითარეს წარმატებული ბიზნესი და შექმნეს საკუთარს სამოსის დიზაინის ხაზი „სამისა“.
- შედგა შეხვედრა პოტენციურ დამსაქმებლებთან და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან, ცნობილ დიზაინერთან გოგა ნიქაბაძესთან და ნინო კოპლატაძესთან.
- მოეწყო შეხვედრა აჭარის დასაქმების სააგენტოსთან და სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის პრეზენტაციის ფარგლებში.
- ბათუმის თოჯინებისა და მოზარდმაცურებელთა სახელმწიფო თეატრში ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის მოეწყო შეხვედრა დამსაქმებელს, კურსდამთავრებულებსა და სტუდენტებს შორის.
- გაიმართა შეხვედრა Toy\_Art\_Boutique -ის დამფუძნებელთან მარეხ ტულუშთან.
- შედგა არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტების შეხვედრა დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ: სამშენებლო კომპანია „ანაგის“ პროექტების მენეჯერები: გოგა გუგავა და დავით თავართქილაძე, „BWC Group –ის არქიტექტორი ია გურგენიძე, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს



## სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

წარმომადგენელი ლაშა ასლანიშვილი, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული სამსახურის უფროსი მირიან მეტრეველი, შპს „კონსტრუქტორის“ - უფროსი ბეგლარ კახიძე, საქალაქო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის სამმართველოს წარმომადგენლები ბესიკ კეშელავა და მაია მიქელაძე, შპს „ARCHI\_TON“-ის დირექტორი ირინა გვიანიძე, არქიტექტურული სამსახურის „სტოა“-ს დირექტორი გიორგი რამიშვილი, შპს „არქეოსი“-ს არქიტექტორი გიორგი გაბაშვილი. კურსდამტავრებულები: დათო მსხალაძე, ინეზა გოლიაძე, ლია გელოვანი, დიანა ფარტენაძე და უნივერსიტეტის არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტები. ამ შეხვედრის შედეგად კომპანია „ანაგში“ დასაქმდა ერთი სტუდენტი.

- სამშენებლო კომპანიის „ანაგში“ ჩართულობით ჩატარდა საინფორმაციო ტური ბათუმის სტადიონის მშენებლობაზე უნივერსიტეტის შენობა-ნაგებობათა არქიტექტურის სპეციალობის სტუდენტებისათვის.
- გაიმართა შეხვედრა აჭარის ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრის წარმომადგენლებთან.
- წარმატებული აღმოჩნდა უნივერსიტეტისა და აჭარის ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის შემოქმედებითი ურთიერთობა. უნივერსიტეტის სტუდენტები წლის განმავლობაში ჩართული იყვნენ ცენტრის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა აქტივობაში: საჯარო ლექციებში, მასტერკლასებში, ლიდერთა სკოლაში, ლაშქრობებსა და შემეცნებით ტურებში, დასაქმების ფორუმებში, სტაჟირების პროგრამებში, სტუდენტურ ფესტივალში და სტუდენტურ თამაშებში. ამ ურთიერთობის შედეგად განხორციელდა რეგიონული ცენტრის მიერ დაფინანსებული უნივერსიტეტის სტუდენტების პროექტი „ერთი კაცის ისტორია“. ამ პროექტის ფარგლებში სტუდენტები ეწვივნენ აჭარის ხუთივე რეგიონს და გამართეს სპექტაკლები.
- არასამთავრობო ორგანიზაცია "საორსას" ინიციატივით, პროექტის "პროფესიული ორიენტაცია აჭარის რეგიონში მცხოვრები მოსწავლეთათვის" ფარგლებში, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა განათლების ფორუმი, რომელშიც აჭარის რეგიონის უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები და აჭარაში მცხოვრები (ხელვაჩაური, ქობულეთი) მოსწავლეები მონაწილეობდნენ. პროექტის მიზანია - დაეხმარონ მოსწავლეებს, საკუთარი პიროვნული მახასიათებლების, მიდრეკილებების, ინტერესების, შესაძლებლობების, ღირებულებების, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და განვითარების პერსპექტივების გათვლისწინებით აირჩიოს პროფესია. ხელოვნების უნივერსიტეტი, როგორც პარტნიორი ორგანიზაცია, წარადგინა სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნინო ხარჩილაძემ. მან მოსწავლეებს გააცნო უნივერსიტეტის აკრედიტებული პროგრამები.

- ✓ მონაწილეობა საქველმოქმედო ღონისძიებებში  
დეკემბრის თვეში გაიმართა მუსიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის საფორტეპიანო მიმართულების სტუდენტის სოსო პაპიძის საქველმოქმედო კონცერტი (პედაგოგ ირინა ხერყის კლასი), რომლიდანაც შემოსული თანხა გადაირიცხა „ანიტა“-ს ფონდში.

უნივერსიტეტის არქიტექტურის და დიზაინის სპეციალობის სტუდენტებმა დაგეგმარების პროექტის ფარგლებში - ხელმძღვანელი ლალი გერსამია, (რომელიც გულისხმობს ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აზომვით სამუშაოებს), გაიცნეს ომის ვეტერანი ფილიპე ახალაძე და გადაწყვიტეს მიელოცათ



მისთვის ფაშიზმზე გამარჯვების დღე - 9 მაისი. ისინი მოულოდნელად ეწვივნენ მას, მიულოცეს დღესასწაული, მიუტანეს პროდუქტები და გარკვეული რაოდენობის თანხა.

### 6. ხარისხის უზრუნველყოფა

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომლის შემადგენლობაში შედიან ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. სამსახური თავის საქმიანობაში ითვალისწინებს ბოლონის პროცესის ფარგლებში ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და იუნესკოს ეგიდით, შესაბამისი პროფილის ევროპული ასოციაციებისა და ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო დოკუმენტებს. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონებით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, უნივერსიტეტის წესდებითა და წინამდებარე დებულებით (დანართი 2).

### 7. შემოქმედებითი მუშაობა

წლის განმავლობაში ჩატარდა კონცერტები, გამოფენები, სპექტაკლები, კინოჩვენებები. უნივერსიტეტის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საუნივერსიტეტო, საქველმოქმედო, თუ საზოგადოებრივ აქტივობებში. წლის განმავლობაში გამოვლენილი აქტიურობის გამო 2019 წლის დასაწყისში 52 სტუდენტი დაჯილდოვდა სიგელებით და სერთიფიკატებით. განხორციელდა რამდენიმე საერთაშორისო თუ ადგილობრივი პროექტი, კონკურსი, მასტერკლასი და სხვა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს, აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ქ. ბათუმის მერიის მხარდაჭერით. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები ჩართული იყვნენ შემოქმედებით მუშაობაში, როგორც სტუდენტთა პროფესიული უნარების განვითარების, მათი საქმიანობის მოტივაციის ამაღლების, ასევე საკუთარი შემოქმედებითი განვითარების მიზნით. მოეწყო პერსონალური გამოფენები, გასვლითი პლენერები, ერთობლივი შემოქმედებითი პროექტები და სხვა.

#### ✓ მუსიკის ფაკულტეტი

- წლის შემოქმედებითი მუშაობის ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური პროექტია 2019 წლის 9-19 სექტემბერს განხორციელებული Glomus-ის (GLOBAL MUSIC) საერთაშორისო მუსიკალური ფორუმი - „GLOMUS 2019 - მსოფლიო მუსიკალური კულტურების შეხვედრა: გლობალური დიალოგი, მდგრადობა და არტისტული ინტერვენცია“ ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან ერთად. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის სამინისტროს, აჭარის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ქ. ბათუმის მერიის მხარდაჭერით. საერთაშორისო მუსიკალური შეხვედრაზე ბათუმში შეიკრიბნენ მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტის (ევროპის, ავსტრალიის, აფრიკის, აზიის, აშშ) უმაღლესი სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები, რექტორები, პროფესორები, და სტუდენტები (120 სტუდენტი). პროექტის ფარგლებში ჩატარდა ასტერკლასები, ვორქშოპები, კონცერტები და უმაღლესი განათლების მენეჯერების შეხვედრა „ლიდერთა ფორუმზე“ და სხვა აქტივობები. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აკადემიური პერსონალის გარდა პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართული სტუდენტები, რამაც ხელი შეუწყო სხვადასხვა ქვეყნის



ახალგაზრდა მუსიკოსებს შორის კონტაქტების დამყარებას. მასტერკლასებში კონსერვატორიის და ბათუმის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების გვერდით მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა ქვეყნიებიდან და კონტიტენტებიდან ჩამოსული სტუდენტებიც. ჩატარდა უცხოელი სტუდენტების ვორქშოფი ქართულ ხალხურ მუსიკაში და სხვა.

- წარმატებით განხორციელდა პროექტი „კოლბარაცია 2“ , რომლის მიზანი იყო ახალგაზრდა სტუდენტ-შემსრულებელთა გაერთიანება და ექსპერიმენტული სამემსრულებლო ჯგუფის შექმნა. რაც პირდაპირ კავშირშია ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების განვითარების სტრატეგიასთან. პროექტი სრულად ეხმიანებოდა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ინიციატივას საორკესტრო სპეციალობის სტუდენტების მიზიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნულმა ჯგუფმა მოამზადა სხვადასხვა ჟანრის რეპერტუარი, გაიმართა რამდენიმე კონცერტი, მათ შორის თურქეთის ქალაქ ტრაპიზონის კულტურის ცენტრში, ფოთის აკაკი ხორავას სახელობის ხელოვნების სასწავლებელში. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში.
- მასშტაბური ხასიათი შეიძინა გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის მე-14 საერთაშორისო ფესტივალმა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა სხვადასხვა საჯარო ლექცია, სამეცნიერო კონფერენცია და კონცერტი.
- 2019 წლის 23 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით ყაზახეთის რესპუბლიკის ქალაქ პავლოდარში საერთაშორისო მუსიკალურ კონკურს-ფესტივალში „აბრეშუმის გზა“ მონაწილეობის მიღების მიზნით, საზოგადოებრივი ფონდის „ევრო-აზიური სივრცის მხარდაჭერის ფონდი ხელოვნების დარგში“ მიწვეული იყვნენ უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის პროფესორი მარიამ ჯახუტაშვილი (ვოკალის ნომინაციაში ჟიურის თავმჯდომარე), კონცერტმამისტერი - ევგენია ლოღელიანი, მაგისტრატურის კურსდამთავრებული სალომე სალაძე და სტუდენტი ნატო ცქვიტინიძე. კონკურსის ფარგლებში ჩატარდა მარიამ ჯახუტაშვილის მასტერკლასები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეულ მუსიკოსებთან
- თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანების ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში თბილისის მერიის მუზეუმების გაერთიანებასა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა კონცერტი. სადამოზე მუსიკის ფაკულტეტის აკადემიური სიმღერის სპეციალობის სტუდენტებმა ევროპელი კომპოზიტორების ვოკალური ნაწარმოებები შეასრულეს.
- ჩატარდა კონცერტები: მაგისტრატურის (ფორტეპიანო) მე-2 კურსის სტუდენტის სოსო პაპიძის სოლო კონცერტი- ემერიტუსი ირინა ხერჟ. აკადემიური სიმღერის დეპარტამენტის საოპერო მიმართულების კონცერტი -პროფესორი თამაზ ცერიაშვილი. აკადემიური სიმღერის დეპარტამენტის კონცერტი სოლო სიმღერის მიმართულებით- პროფესორი თამაზ ცერიაშვილი. მუსიკის ფაკულტეტის საორკესტრო ჯგუფის საშობაო კონცერტი „საჩუქარი ბათუმს“- პროფესორი ხათუნა მანაგაძე. სამუსიკო პედაგოგიკის, მუსიკის თეორიის, საორკესტრო, აკადემიური გუნდის დირიჟორობის და კლავიშიან საკრავთა დეპარტამენტის ღია კონცერტი - პროფესორი ლალი ჭელიძე.



- ფესტივალში „ბათუმის ცის ქვეშ“, რომელიც გენუის საერთაშორისო ფესტივალის ნაწილია, მონაწილეობდნენ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის საორკესტრო და ვოკალური ჯგუფები, დირიჟორი გიორგი აფრამაშვილი, ქორმაისტერი სალომე ცეცხლამე, პიანისტი ნინო ნიშნიანიძე. აკადემიური სიმღერის სპეციალობის საოპერო მიმართულების კონცერტი. შესრულდა ნაწყვეტები მოცარტის, დონიცეტის, ვერდის, ფონ ფლოტოვის ოპერებიდან.
- დეკემბრის ბოლოს უნივერსიტეტის დიდ დარბაზში მუსიკის ფაკულტეტის საორკესტრო ჯგუფმა მორიგი ახალი პროგრამა წარმოადგინა. შესრულდა სენ-სანსის, ბრამსის ნაწარმოებები, ასევე პოპულარული საგუნდო ნაწარმოებები რევაზ ლაღიძის გოგონათა გუნდთან (ქორმაისტერი მაგდა მათითაიშვილი) ერთად.
  - ✓ კინო-ტელეხელოვნების დეპარტამენტი
- უნივერსიტეტის პროფესორის, რეჟისორ ზაზა ხალვაშის ფილმი - „ნამე“, ქართული კინოს გასული ორი ათწლეულის შესაჯამებლად „პუბლიკა 26“ -ის მიერ, ქართველი კინომცოდნეების გამოკითხვის შედეგად, XXI საუკუნის 15 საუკეთესო ქართულ ფილმს შორის პირველ ადგილზე დასახელდა. ფილმის ოპერატორი გიორგი შველიძე ამერიკის კინემატოგრაფისტთა ასოციაციამ წლის აღმოჩენად დაასახელა. ის პირველი ქართველია, რომელიც ნომინირებული და დაჯილდოებულია Spotlight Awards კატეგორიაში.
- პროექტის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისიის მხარდასაჭერად“ (2019 წლის მარტი) და რადიო თავისუფლების ერთობლივი „3 წუთიანი ფილმების კონკურსის“ ფინალისტებს შორის მოხვდა კინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტის სტუდენტების - მირიან ორაგველიძისა და რუსლან დუმბაძის ფილმი „ნარიმე“ (ზაზა ხალვაშის სახელოსნო).
- 24 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში შედგა 3 წუთიანი სტუდენტური ფილმების ჩვენება: ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის კინოს რეჟისურის სპეციალობის სტუდენტების რუსლან დუმბაძისა და მირიან ორაგველიძის - „ნარიმე“ ქეთევან კაპანაძე - „ლალა, მანქანების მექანიკოსი“ მარიამ აგლაძე - „ყოველი მეშიდე“ პეტრე თომაძე - „ღამის სეანსი“.
- რეჟისურის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტებმა ია კვიციანიამ და მირიან ორაგველიძემ ორიგინალური პერფორმანსის პრეზენტაცია ჩაატარეს, საკუთარი ჩანაფიქრით გადაღებული ფოტოსურათებით, მათივე ხელით შესრულებული მაკეტებით და მუსიკალური გაფორმებით, რომელიც გატანილი იყო მეცნიერიების და ინოვაციების ფესტივალზე.
- ივლისის თვეში შედგა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებული პროექტი - „DocNomads-TAFU - ბემუმის საზაფხულო კინოსკოლა“. პროექტში უნგრელი, ბრაზილიელი, მაროკოელი, თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის კინო-ტელე ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის სარეჟისორო სპეციალობის სტუდენტები. პროექტის ფარგლებში ხულოში, ბემუმში გადაიღეს დოკუმენტური ფილმები.
- 2019 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის სხვადასხვა სპეციალობის შერჩეულმა სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო ზაზა ხალვაშის





ახალი ფილმის „ლოტო“ გადაღებებზე, რომელიც მათთვის შემოქმედებითი უნარების განვითარების საუკეთესო საშუალება იყო.

✓ სახვითი ხელოვნების დეპარტამენტი

- 2019 წლის 28 თებერვალს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში გაიმართა ბავშვთა ნამუშევრების მერვე გამოფენა-კონკურსი „ზამთრის ვერსიაჟი“. კონკურსში ჟიურის წევრის სტატუსით მონაწილეობდა უნივერსიტეტის არქიტექტურის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტი მიხეილ თავბერიძე, რომელმაც რჩეულ ნომინანტს გადასცა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სერტიფიკატი და სიმბოლური საჩუქარი.
- აპრილში ხელოვნების მუზეუმში (გალერეა) ჩატარდა სახვითი ხელოვნების დეპარტამენტის სამოსის დიზაინის სპეციალობის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა - "ელეგანტური შავ-თეთრი". ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იყო გაბრიელ (კოკო) შანელის მოტივებით შთაგონებული აპლიკაციური ესკიზები, შერეული ტექნიკით შესრულებული ინსტალაციები, ქაღალდის კაბებით შემოსილი მანეკენები და სხვ. გამოფენის ორგანიზატორი ასოცირებული იყო ასოცირებული პროფესორი დიანა თალაკვაძე.
- სახვითი ხელოვნების დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი ქეთევან ვაჩეიშვილი, მიხეილ კვაჭაძე, სერგო გოგოლაძე, დიანა თალაკვაძე, ბექა ბოლქვაძე და მოწვეული მეორე კატეგორიის სპეციალისტი ირინა ტორონჯაძე 2019 წლის განმავლობაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა გამოფენებში, პლენერებსა და პროექტებში, კერძოდ: გამოფენა-ფესტივალი გალერეა "lark Art Studio" ვენეცია-იტალია, საერთაშორისო პლენერი ავსტრიაში ქ. იბსი და კრემსი, ლიტვაში კრასლავას პლენერი, ქართულ-გერმანული კულტურის დღეები აჭარაში გამოფენა „მხატვრის თვალით“ აჭარის ხარითონ ახვლედიანის მუზეუმი, მარიამ რიზამსკის სახ. საერთაშორისო არტ-სიმპოზიუმი ქ. ტარნობრჟეგი, პოლონეთი, საერთაშორისო არტ-სიმპოზიუმი მეგობრობის პალიტრის ფერებში პროექტი „წელიწადის ოთხი დრო“ – „შემოდგომა“ საქართველო - უკრაინა, დედის დღისადმი მიძღვნილი გამოფენა, ბათუმელ მხატვართა გამოფენა თბილისში, გამოფენა ბათუმის მერიასში, პარიზში „Galerie Beaute du Matine Calme“ -ში ქეთევან ვაჩეიშვილის, დიანა თალაკვაძის, ირინა ტორონჯაძის, მაია ჭყონიას გამოფენა, ემერიტუსის ვახტანგ (ბესო) ბესელიას გამოფენა აჭარის ხელოვნების მუზეუმში.
- ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტისა და ააიპ „ფოლიანტის“ კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში განხორციელდა პროექტი - „შეუზღუდავი ფერადოვნება“ - რომელიც მიზნად ისახავდა უსინათლო ბავშვებისათვის ხატვის უნარების განვითარებას. ორი თვის განმავლობაში პროექტში მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის სამოსის დიზაინის და არქიტექტურის სპეციალობის 17 სტუდენტმა მიხეილ კვაჭაძის ხელმძღვანელობით.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აჭარის ეკონომიკის სამინისტროს, ქალაქ ბათუმის მერიასა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე უკვე 2015 წლიდან ხდება შემოთავაზებულ თემაზე სტუდენტების მიერ პროექტების შესრულება. განხორციელდა რამდენიმე პროექტის საჩუქრად გადაცემა სამინისტროებსა და მერიისათვის. 2019 წლის შემოთავაზება ეხებოდა ბათუმის სახელოვნებო სკოლებს. 16 აპრილს შედგა შენობა-ნაგებობათა არქიტექტურის სპეციალობის კურსდამთავრებულთა



გიორგი მურადიანის, ზურა თოიძის და როლანდ ზოიძის ნამუშევრების პრეზენტაცია და საჩუქრად გადაცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსათვის.

- ივნისში სტუდენტური თვითმმართველობის და უნივერსიტეტის არქიტექტურის სპეციალობის III კურსის სტუდენტის - მიხეილ თავბერიძის ორგანიზებით, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში გაიმართა გურიის რეგიონის სამხატვრო სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაში მონაწილეობდნენ მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრის პროექტში " ზამთრის ვერნისაჟი " გამარჯვებული მოსწავლეები.
- ივლისში ჩატარდა Adjara Fashion Week-ის დეფილე სამ ლოკაციაზე: Grand Hotel Blask Sea, Batumi Mall და ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა. მოდის კვირეულზე, პროფესიონალ დიზაინერებთან ერთად, საკუთარი შემოქმედებით წარსდგნენ თბილისის სამხატვრო აკადემიისა და ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები.
- თბილისში მოდის პრესტიჟულ ღონისძიებას Mercedes-Benz Fashion Week-ზე მივლენილი იყო ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამოსის დიზაინის სპეციალობის 8 სტუდენტი და 2 პედაგოგი -დიანა თალაკვაძე და ნანა კუპრაძე. სტუდენტთა ნაწილი მუშაობდა back stage -ში (კულისებში), ნაწილი კი მაყურებლის სტატუსით იმყოფებოდა.

✓ სასცენო ხელოვნების დეპარტამენტი

- ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტში ჩატარებულ სტუდენტური პიკნიკის ღონისძიებაზე სახვითი, სასცენო და კინო-ტელეხელოვნების II კურსის სამსახიობო ჯგუფის სტუდენტებმა წარმოადგინეს პერფორმანსი „ტანგო“ სასცენო მოძრაობის საბრძოლო ელემენტების გამოყენებით (პედაგოგები: თამარ ბერიძე და მანანა ხელაია).
- აპრილში ხელოვნების უნივერსიტეტში ჩატარდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სადამო -ლიტერატურული კომპოზიცია და ნაწყვეტი გ. დოჩანაშვილის რომანიდან „სამოსელი პირველი“ . ხელმძვანელები თამილა მეიშვილი და თამაზ ბოლქვაძე.
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში, დრამისა და კინოს სამსახიობო სპეციალობის IV კურსის სტუდენტებმა წარმოადგეს მუსიკალურ-ლიტერატურულ კომპოზიცია „ჩემო კარგო ქვეყანა“ -ხელმძვანელი ავთანდილ ქარჩავა.
- საუნივერსიტეტო აქტივობა - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით გამართულ ბათუმის სამეცნიერო პიკნიკში, რომელიც „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2019“-ის ფარგლებში ჩატარდა, უნივერსიტეტი წარდგა რამდენიმე აქტივობით: კინო ინსტალაცია, დიზაინის სპეციალობის სტუდენტთა საკურსო და სადილომო ნამუშევრების დეფილე, სტრიტ არტი.



### 8. კვლევითი და საგამომცემლო საქმიანობა

✓ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები

2019 წლის 19-20 ოქტომბერს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“. კონფერენცია მოიცავდა კულტურისა და ხელოვნების აქტუალური საკითხების კვლევას, შემოქმედებითი პროცესებისა და ტენდენციების გაანალიზება-შეფასებას. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი თემატიკა: ფერწერა, ქანდაკება, არქიტექტურა, კულტურული მემკვიდრეობა, რესტავრაცია, თეატრი, კინემატოგრაფი, მუსიკა, მუზეოლოგია, კულტურის მენეჯმენტი, კულტურული ტურიზმი, მედია. კონფერენციაში მონაწილეობდა 130-ზე მეტი მკვლევარი 17 ქვეყნიდან. საქართველოდან კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტები, სამეცნიერო ცენტრები და სახელოვნებო დაწესებულებები. მათ შორის: საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, აპ. ქუთათელაძის სახელობის თბილისის სამხატვრო აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის, თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის, აჭარის ხელოვნების მუზეუმის, ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმის, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მკვლევრები და დოქტორანტები. უცხოეთიდან მონაწილეობდნენ: დიდი ბრიტანეთის, ხორვატიის, იტალიის, უნგრეთის, ჰოლანდიის, პოლონეთის, ბულგარეთის, უკრაინის, ლატვიის, ირანის, აზერბაიჯანის, სომხეთის სასწავლო და სახელოვნებო დაწესებულებების წარმომადგენლები. ბხსუ-ს საერთაშორისო კონფერენციებისადმი მონაწილეთა ინტერესი, გამოხმაურებები და საქართველოსა და ევროპის წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო და სახელოვნებო დაწესებულებების თანამონაწილეობა ხაზს უსვამს აღნიშნული თემატიკის საერთაშორისო კონფერენციის ჩატარების ტრადიციის საჭიროებას, მნიშვნელობას და აქტუალობას. კონფერენციის ფინანსური მხარდაჭერები იყვნენ: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

2019 წლის 7-9 ნოემბერს ჩატარდა გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის მე-14 საერთაშორისო ფესტივალი. ფესტივალის საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობდნენ ქართული და უცხოური ანსამბლები: „ორბელი“ (ბოლნისი), „მოყვარე“ (ქედა), თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორული ანსამბლი (თბილისი), „მასპინძელი“ (დიდი ბრიტანეთი), „ზეირა“, „სპინგეს“, „გაუდიუს“ (ლიეტუვა), „რავენც“ (ბულგარეთი), „მავრინოკ“ (უკრაინა). 8 და 9 ნოემბერს ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქართველი და უცხოელი მეცნიერების მონაწილეობით. ფესტივალი ჩატარდა ქალაქ ბათუმის მერიის მხარდაჭერით და ა(ა)იპი „არტ ალტერნატივას“ ორგანიზებით.



✓ **Erasmus+** პროგრამის ფარგლებში, ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის ადმინისტრაციის სააგენტოს მიერ 2019 წელს გამოცხადებული კონკურსის შედეგად, საქართველოს თანამონაწილეობით დააფინანსდა 6 პროექტი, რომელშიც ჩართულია საქართველოს 17 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, 3 სახელმწიფო ორგანიზაცია და 2 არასამთავრობო ორგანიზაცია. დაფინანსებულ პროექტებში მონაწილე საქართველოს უნივერსიტეტებს შორისაა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი, რომელმაც Erasmus+ საგრანტო დაფინანსება პირველად მოიპოვა. პროექტში „**უნივერსიტეტების როლი რეგიონალურ განვითარებაში**“, რომლის კოორდინატორია ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი, ჩართულია საქართველოს, ავსტრიის, ჩეხეთის, ესპანეთის, ლიეტუვის უნივერსიტეტები. პროექტის მიზანია, მხარი დაუჭიროს პარტნიორ ქვეყნებსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას უმაღლესი განათლების სისტემის მოდერნიზაციის, ხელმისაწვდომობის, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ასევე ინოვაციური საგანმანათლებლო პროგრამების და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით. **2019 წლის 9-10 დეკემბერს**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა ევროკავშირის ERASMUS+ -ის ინსტიტუციური განვითარების პროექტის „უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში“ (ROLE OF UNIVERSITIES IN THE REGIONAL DEVELOPMENT - RURD) პროექტის პირველი საკოორდინაციო შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები: რექტორი მია ჭიჭილეიშვილი, მუსიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ხათუნა მანაგაძე და სამეცნიერო და საგამომცემლო დეპარტამენტის სპეციალისტი სალომე ჩიკაშუა.

✓ საჯარო ლექცია

- წლის 21 ოქტომბერს ჩატარდა ICOM-ICTOP-ის პრეზიდენტის, ზაგრების უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორის დარკო ბაბიჩის საჯარო ლექცია თემაზე „მუზეუმები, მემკვიდრეობა და მუზეუმმცოდნეობა XXI საუკუნეში“. დარკო ბაბიჩმა აუდიტორიას გააცნო სამუზეუმო საქმის განვითარების თანამედროვე ევროპული გამოცდილება კულტურული მემკვიდრეობის მართვისა და ინტერპრეტაციის მიმართულებით. ხაზი გაუსვა ავთენტური გამოცდილების გამდიდრების აუცილებლობას, რაც განპირობებულია თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში არსებული გამოწვევებით და უდავოდ საჭიროებს ცვლილებებს და ახალ მიდგომებს მემკვიდრეობის ინტერპრეტაციის საქმეში.
- 2019 წლის 21 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნატო გენგიურის საჯარო ლექცია თემაზე „იდეოლოგია და არქიტექტურა - საბჭოთა პერიოდის საქართველო“. ნ. გენგიურმა ისაუბრა საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიური გამოწვევების, განვითარების ეტაპების, ტრადიციებისა და იდეოლოგიისათვის მისაღები მხატვრული თავისებურებების, საზოგადოებისა და პარტიული ელიტის როლის შესახებ XX საუკუნის საბჭოთა კავშირისა და საქართველოს არქიტექტურაში. ლექციას ესწრებოდნენ ხელოვნებათმცოდნეობისა და არქიტექტურის მიმართულების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები. ლექციის შემდეგ გაიმართა დისკუსია.
- მაისს ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე „**ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების კონცეპტუალური და პრაქტიკული ასპექტები**“, რომელსაც უძღვებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი მერაბ ხოხობაია. საჯარო ლექციაზე განხილული იყო როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის განვითარების კონცეპტუალური მიდგომები (სისტემური



## სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

მიდგომა, სცენარები, კავშირების ანალიზი და ა.შ), ასევე სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც მოიცავს სტრატეგიული ხედვების, მიზნების, პროგრამების იდენტიფიკაციის პროცესს. საკითხების სადემონსტრაციოდ გამოყენებული იყო როგორც ქართული მაგალითები, ასევე უცხოეთის გამოცდილება. აჯარო ლექციას ესწრებოდნენ ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის სპეციალისტები.

### ✓ ვორკშოპი

2019 წლის 19 აპრილს ჩატარდა ვორკშოპი თემაზე „მუზეუმების მართვის თანამედროვე მეთოდები“, რომელსაც უძღვებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის აღმოსავლური კოლექციების უფროსი კურატორი - ირინა კომორიძე. ვორკშოპზე საუბარი იყო მუზეუმების ფუნქციასა და მისიაზე სხვადასხვა ეპოქებში, ასევე XX-XXI საუკუნეების მუზეუმების მისიებსა და გამოწვევებზე, რომლებიც მნიშვნელოვნად შეიცვალა თანამედროვე ეპოქის მოთხოვნების შესაბამისად. საუბარი შეეხო, აგრეთვე, საქართველოს მუზეუმებში მიმდინარე ტრანსფორმაციის პრობლემებს. ვორკშოპს ესწრებოდნენ აჭარის მუზეუმების სპეციალისტები, ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

### ✓ სემინარი

2019 წლის 22 მარტს ჩატარდა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორის ნანა შარიქაძის სემინარი უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე. სემინარის თემატიკა ეხებოდა იყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის გამოცდილებას, უცხოეთის მუსიკალურ საგანმანათლებლო ცენტრებთან ურთიერთობის ფორმების, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით მიღწეული შედეგების განხილვას. შეხვედრაზე გამოიკვეთა თბილისის კონსერვატორიასა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტს შორის, ასევე უცხოეთის სახელოვნებო სასწავლებლებს შორის ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები. გამოითქვა რეკომენდაციები ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განვითარების შესახებ.

### ✓ კვლევით პროექტში მონაწილეობა

2019-2021 წწ. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ განხორციელდება კვლევითი პროექტი „აჭარის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“, რომელიც დაფინანსდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. აღნიშნულ პროექტში ჩართული იყო ბხსუ-ს ეთნომუსიკოლოგი ლოლიტა სურმანიძე, რომელსაც აქვს კვლევით პროექტებში და ექსპედიციებში მონაწილეობის მრავალწლიანი გამოცდილება, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან აქტიური თანამშრომლობით.

### ✓ სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია

2019 წლის 3 მაისს ჩატარდა სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია. მასში მონაწილეობდნენ საქართველოსა და უცხოეთის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ბაკალავრიატის და



მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტები, კერძოდ: ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის, აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ახალი საქართველოს უნივერსიტეტის, დებრეცენის უნივერსიტეტის, ნ. რიმსკი-კორსაკოვის სახელობის სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო კონსერვატორიის, ყაზახეთის ხელოვნების ეროვნული უნივერსიტეტის წარმომადგენლები. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო სექციები: ხელოვნებათმცოდნეობა; მუსიკათმცოდნეობა; კულტურა, კულტურული ტურიზმი. სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია ხელს უწყობს სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას, ქართველ და უცხოელ სტუდენტებს შორის გამოცდილების გაზიარებას, ურთიერთობის ჩამოყალიბებას და შემდგომ თანამშრომლობას, აგრეთვე - ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესიულ განვითარებას.

✓ *სტუდენტთა სამეცნიერო სემინარი*

2019 წლის გაზაფხულის სემესტრზე ჩატარდა სტუდენტთა სამეცნიერო სემინარი თემაზე „არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში“. არქიტექტურისა და ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა - გიორგი კალანდიამ, მიხეილ თავბერიძემ, თორნიკე თურმანიძემ, ია ლოლუამ, ნანა ნაგერვაძემ, ნათია ჯინჭარაძემ წაიკითხეს მოხსენებები ქართული საეკლესიო და ურბანული არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციის შესახებ. სემინარი ეხებოდა საქართველოში არქიტექტურის რესტავრაციის ტრადიციების, გამოცდილების, თანამედროვე გამოწვევებისა და პრობლემების საკითხებს. სემინარის ფორმატში გაიმართა წიგნის „არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში“ პრეზენტაცია. სემინარი ჩატარდა პროფ. მაია ჭიჭილეიშვილის ხელმძღვანელობით. სემინარის მუშაობას ესწრებოდნენ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოს და ბხსუ-ს წარმომადგენლები.

✓ *ბხსუ-ს თანაორგანიზატორობით ჩატარებული სამეცნიერო კონფერენციები:*

1. 20-21.03.2019 - კიევის კულტურის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „უკრაინა მსოფლიო გლობალიზაციის პროცესებში: კულტურა, ეკონომიკა, საზოგადოება“.
2. 2019 წლის 24 ივნისს ბხსუ-ს თანაორგანიზატორობით გაიმართა ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტისა და ეკონომიკური კვლევების ეროვნული ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „თანამედროვე საზღვაო ტექნოლოგიები, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები“.
3. 2019 წლის 27-28 სექტემბერს ბხსუ-ს თანაორგანიზატორობით გაიმართა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მე-4 საერთაშორისო კონფერენცია „ისტორია, ხელოვნება, ლიტერატურა და კულტურა შავი ზღვის რეგიონსა და სამხრეთ კავკასიაში“.

აღნიშნულ კონფერენციებში მონაწილეობდნენ ბხსუ-ს პროფესორ-მასწავლებლები: ე. მესხია, ს. თავაძე, თ. კეჭერაძე, თ. ბერიძე, თ. ცაგურია.



**საგამომცემლო საქმიანობა:**

1. დაიბეჭდა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის მერაბ ლებანიძის წიგნი „თეატრალიზებული ცხოვრება - ცხოვრებისეული თეატრი“. წიგნი მოიცავს ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებს გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღევანდელობამდე. ავტორი საკუთარი შემოქმედებითი და პედაგოგიური საქმიანობის კონტექსტში განიხილავს სხვადასხვა თეატრალური სკოლებისა და თეატრალური პედაგოგიკის მნიშვნელოვანი წარმომადგენლების მეთოდოლოგიასა და ნააზრევს სათეატრო ესთეტიკისა და ეთიკის, მსახიობის ოსტატობისა და ტექნიკის, თეატრალურ კოლექტივში შემოქმედებითი მოღვაწეობისა და შემოქმედებითი ეთიკის საფუძვლების შესახებ. ნაშრომი შეიძლება გამოყენებული იქნას მსახიობის ოსტატობაში, როგორც დამხარე სახელმძღვანელო.
2. გამოიცა 2019 წლის 19-20 ოქტომბერს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „კულტურა და ხელოვნება თანამედროვეობის კონტექსტში“ მასალების კრებული. კრებულში შესულია კონფერენციაში მონაწილე ქართველ და უცხოელ მკვლევართა მოხსენებები - ხელოვნებათმცოდნეობის, მუსიკისმცოდნეობის, თეატრმცოდნეობის, კინომცოდნეობის, კულტურის, მედიის მიმართულებით.

✓ თანამშრომლობა პარტნიორებთან

წლის 27 დეკემბერს განახლდა მემორანდუმი თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან.

23 ნოემბერს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრსა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთ თანამშრომლობის მემორანდუმი.

2019 წლის 7 ივნისს უნივერსიტეტს ეწვია საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი კულტურის საკითხებში - ჰამიდ მოსტაფავი ეწვია. შეხვედრაზე განხილულ იქნა საგანმანათლებლო, სამეცნიერო და შემოქმედებითი მიმართულებით ირანის უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტს შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები.

მაისში გაფორმდა მემორანდუმი ტრაპიზონის უნივერსიტეტთან.

წლის განმავლობაში გაფორმდა მემორანდუმი 24 დაწესებულებასთან ( იხ. დანართი)



### 9. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა

აჭარის მთავრობის დახმარებით ბხსუ-ს გადაეცა ახალი სასწავლო პროგრამებზე მორგებული შენობა . უნივერსიტეტის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას;

ბხსუ-ს თანასაკუთრებაში/სარგებლობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად (თანდართულია ინვენტარიზაციის უწყისი). კერძოდ.:

- საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. ბათუმი ზ. გორგილაძის/ვ. ფშაველას ქ.№ 19/32
- შენობა-ნაგებობაში (სასწავლო აუდიტორიებში, სახელოსნოებში, სასადილოში და სხვ.) უზრუნველყოფილია ბუნებრივი და ხელოვნური განათების შესაძლებლობა და ელექტროენერჯის მიწოდება;
- შენობა უზრუნველყოფილია გამიჯნული სველი წერტილებით;
- შენობაში დაცულია სანიტარული ნორმები;
- შენობა-ნაგებობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით: ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები, არსებობს განგამის ხმოვანი და ვიზუალური შეტყობინების სისტემა, მანათობელი საინფორმაციო სტიკერებით;
- უსაფრთხოების დაცვისა და საგანგებო სიტუაციებში შენობის ორგანიზებულად დატოვების მიზნით შენობა-ნაგებობებში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, სადაც მითითებულია ძირითადი და სათადარიგო გასასვლელები, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებათა განლაგების ადგილები, სამედიცინო დახმარების პუნქტი და სხვ. გამოკრულია საგანგებო სიტუაციაში შესაბამისი უწყების საკონტაქტო ტელეფონები;
- დანიშნულია სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით სახანძრო უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც მუდმივად ახორციელებს სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით ღონისძიებებს, პერიოდულად ტარდება სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებისა და დამხმარე შენობების, ტერიტორიების სახანძრო ტექნიკური შემოწმება კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.
- ბხსუ-ში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც განთავსებულია პირველ სართულზე. სამედიცინო კაბინეტს გააჩნია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები და აპარატურა. მედიკამენტების შესყიდვა-განახლება ხორცილდება სისტემატურად. ინფორმაცია სამედიცინო კაბინეტის მდებარეობის, მუშაობის განრიგისა და საკონტაქტო ტელეფონის თაობაზე გამოკრულია სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას.
- სასწავლო და დამხმარე ფართი უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის საშუალებით, რაც ხორციელდება ბხსუ-ს საკუთარი საქვაბე სისტემის მეშვეობით;
- ბხსუ-ში შექმნილია ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის, ადაპტირებული ლიფტი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია სართულებზე გადაადგილება; შესაბამისად მოწყობილი სანიტარიული კვანძი და სხვ.
- უნივერსიტეტს მიეწოდება ბუნებრივი აირი.





• საზოგადოებრივი წესრიგის და მატერიალური ფასეულობების დაცვის მიზნით, უნივერსიტეტის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით.

სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა:

- აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, სახელოსნოები, სტუდიები და სხვ. კაბინეტები;
- ბიბლიოთეკის წიგნადი (ბეჭდური და ელ. მატარებლებზე) ფონდი - 15353/1608 ერთეული, ბიბლიოთეკის აუდიოფონდები, თვალსაჩინოები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები: OPENBIBLIO, EBESCO და ELSEVIERI. სათანადოდ აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი;
- საკონფერენციო დარბაზი;
- საგამოფენო დარბაზი;
- დიდი (100 მაყურებელზე) და მცირე (50 მაყურებელზე) დარბაზი;

ბხსუ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა, ტერიტორია, შენობა-ნაგებობა, მოწყობილობები, ინვენტარი და ტექნიკური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა და სხვა კაბინეტები, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა, სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, საერთაშორისო ონლაინ ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, ფინანსური სახსრები, სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია და სხვ. განკუთვნილია სტუდენტების და პერსონალის სასწავლო, სამეცნიერო, კვლევითი, შემეცნებითი, შემოქმედებითი საქმიანობისთვის. ბხსუ-ს ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, შესაძლებელია მუდმივი ინტერნეტით და ონლაინ რეჟიმში ელექტრონული ბიბლიოთეკით სარგებლობა. მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით დანიშნულებისამებრ სარგებლობა შეუზღუდავად თანასწორ პირობებში შეუძლიათ სტუდენტებს, ადმინისტრაციულ, დამხმარე, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს.

2018-2019 წლებში ბიბლიოთეკამ შეიძინა 219 ერთეული წიგნი, რომლის ღირებულება შეადგენდა 2331 ლ. 75 თ. ასევე ბიბლიოთეკას საჩუქრად, სიმბოლურ ფასად 1 ლარად გადმოეცა 42 ერთეული წიგნი, რიდეები და CD დისკები და სხვ.



დანართი 1

ბხსუ-ს ნორმატიული აქტები 2020 წელი

№	განხორციელებული აქტივობა	თარიღი
1	სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის ცვლილება	14.01.2019
2	მისიის, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და გეგმების შესრულების მონიტორინგის წესის ცვლილება	14.01.2019
3	უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების ცვლილება	06.02.2019
4	2019-2020 სასწავლო წლისთვის სამაგისტრო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესის დამტკიცება	06.02.2019
5	სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის ცვლილება	06.02.2019
6	შინაგანაწესის ცვლილება	06.02.2019
7	სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის ცვლილება	27.02.2019
8	სამეცნიერო და საგამომცემლო განყოფილების დებულების დამტკიცება	27.02.2019
9	შემოქმედებითი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის განყოფილების დებულების დამტკიცება	27.02.2019
10	სტუდენტური შემოქმედებითი პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცება	27.02.2019
11	წესდების ცვლილების პროექტის დამტკიცება	27.02.2019
12	მისიის, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და გეგმების შესრულების მონიტორინგის წესის ცვლილება	27.03.2019
13	კოდების მინიჭების წესის ცვლილება	27.03.2019
14	ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დამტკიცება	15.05.2019
15	საფინანსო სამსახურის დებულების დამტკიცება	15.05.2019
16	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულების დამტკიცება	15.05.2019
17	მუსიკის ფაკულტეტის დებულების ცვლილება	15.05.2019
18	განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების ცვლილება	15.05.2019
19	პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესის დამტკიცება	15.05.2019
20	სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის დებულების დამტკიცება	15.05.2019
21	არჩევნების ჩატარების დებულების ცვლილება	15.05.2019
22	უწყვეტი განათლების ცენტრის დებულების ცვლილება	10.06.2019
23	პერსონალის მართვის პოლიტიკის ცვლილება	10.06.2019
24	ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვისა და ოფიციალური ვებგვერდის ადმინისტრირების წესის ცვლილება	10.06.2019
25	საქმისწარმოების ინსტრუქციის ცვლილება	10.06.2019
26	აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის ცვლილება	10.06.2019
27	პროგრამული დაფინანსების გაცემის წესის ცვლილება	10.06.2019
28	წარჩინებულ სტუდენტთა სახელობითი სტიპენდიის გაცემის წესის შესახებ დებულების ცვლილება	10.06.2019
29	საგამომცემლო საქმიანობის შესახებ დებულების ცვლილება	10.06.2019
30	სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის ცვლილება	01.07.2019
31	კოდების მინიჭების წესის ცვლილება	31.07.2019
32	ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის ცვლილება	31.07.2019



სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

33	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების ცვლილება	31.07.2019
34	შინაგანაწესის ცვლილება	31.07.2019
35	სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესის ცვლილება	18.09.2019
36	სტუდენტთა პრაქტიკის შესახებ დებულების ცვლილება	18.09.2019
37	2020-2021 სასწავლო წლისათვის საბაკალავრო პროგრამებზე აბიტურიენტთა მიღების წესის დამტკიცება	10.12.2019
38	სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დებულების ცვლილება	10.12.2019
39	ბიბლიოთეკის დებულების ცვლილება	10.12.2019



სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

დანართი 2

ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის საქმიანობის გეგმა-ანგარიში

სამსახურის საქმიანობის გეგმა

ამოცანა	№	აქტივობა	თ ვ ე												პასუხისმგებელი	შემსრულებელი	სხვა ჩართული მხარე, გარდა დაწესებულებისა	შენიშვნა	
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12					
ავტორიზაცია	1	ავტორიზაციისათვის მზადება	•	•	•	•	•	•								ქ. ვაჩიშვილი	ფაკულტეტების ხარისხის სამსახურები	დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები	შესრულდა. უნივერსიტეტს მიენიჭა (1 წლის შემდეგ ანგარიშის წარდგენით) ავტორიზაცია 6 წლით.
<b>სამაგისტრო პროგრამები (აკრედიტაციის რეჟიმი)</b>																			
აკრედიტაციისთვის მომზადებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	2	სამოსის დიზაინი														ქ. ვაჩიშვილი	ფაკულტეტების ხარისხის სამსახურები. პროგრამის ხელმძღვანელი	დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები	შესრულდა. რეაკრედიტებულია 7 წლით.
	3	ხელოვნების ისტორია და თეორია - ხელოვნებათმცოდნეობა																	
	4	სამუსიკო შემსრულებლობა																	
<b>აქტიური საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის მზადება</b>																			
მონიტორინგი	5	არქიტექტურა	•	•											ქ. ვაჩიშვილი	ფაკულტეტების ხარისხის სამსახურები პროგრამის ხელმძღვანელი	დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები	აკრედიტებულია 1 წლის ვადით შესრულდა რეაკრედიტებულია 7 წლით.	
	6	კულტურული ტურიზმი	•	•															
	7	ტელერეჟისურა	•	•															
	8	სამსახიობო ხელოვნება	•	•															
<b>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის მზადება</b>																			
მონიტორინგი	9	ფერწერა B	•	•	•	•	•	•	•	•	•			ქ. ვაჩიშვილი	ფაკულტეტების ხარისხის სამსახურები. პროგრამის ხელმძღვანელი	დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები	პოტენციური დამსაქმებლები,	შესრულდა	
	10	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)																აკრედიტებულია	
	11	მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა							•	•	•	•	•					შესრულდა	
	12	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა							•	•	•	•	•					შესრულდა	
	13	სცენოგრაფია M							•	•	•	•	•					არ შესრულდა	
<b>აქტიური საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები</b>																			



სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

მონიტორინგი	14	დიზაინი		•																ქ. ვაჩეიშვილი	ფაკულტეტების ხარისხის სამსახურები.	დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები	შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი	შესრულდა
	15	შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა		•																				
	16	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება		•																				
	17	აუდიოვიზუალური ხელოვნება		•																				
	18	სამუსიკო შემსრულებლობა		•																				
	19	ტელერადიოჟურნალისტიკა		•																				
	20	ხელოვნების ისტორია და თეორია - ხელოვნებათმცოდნეობა		•																				
	21	კულტურული ტურიზმი		•																				
22	ხელოვნების მენეჯმენტი		•																					
<b>აქტიური სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები</b>																								
მონიტორინგი	23	დიზაინი		•															ქ. ვაჩეიშვილი	ფაკულტეტების ხარისხის სამსახურები.	დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები	შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი	შესრულდა	
	24	აუდიოვიზუალური ხელოვნება		•																				
	25	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება		•																				
	26	სამუსიკო შემსრულებლობა		•																				
	27	ხელოვნების ისტორია და თეორია - ხელოვნებათმცოდნეობა		•																				
	28	ხელოვნების ისტორია და თეორია - ხელოვნებათმცოდნეობა		•																				
<b>უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაო გეგმა</b>																								
	29	2018 წლის სამუშაოს ანგარიში	•																ქ. ვაჩეიშვილი	ფაკულტეტების ხარისხის სამსახურები.	დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები	შესრულდა.		
	30	2019 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება	•																					
	31	2020 წლის სამუშაო გეგმის შემუშავება																•						
	32	გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასების შესახებ																•	ქ. ვაჩეიშვილი	საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები	დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები	აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებები.		



სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

სამსახურის საქმიანობის ანგარიში

ამოცანა	№	აქტივობა	თ ვ ე												შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა	
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12				
ავტორიზაცია	1	ავტორიზაციისათვის მზადება	•	•	•	•	•	•								✓		უნივერსიტეტს მიენიჭა (1 წლის შემდეგ ანგარიშის წარდგენით) ავტორიზაცია 6 წლით.
<b>სამაგისტრო პროგრამები (აკრედიტაციის რეჟიმი)</b>																		
აკრედიტაციისთვის მომზადებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	2	სამოსის დიზაინი														✓		რეაკრედიტებულია 7 წლით.
	3	ხელოვნების ისტორია და თეორია - ხელოვნებათმცოდნეობა																
	4	სამუსიკო შემსრულებლობა																
<b>აქტიური საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის მზადება</b>																		
მონიტორინგი	5	არქიტექტურა	•	•												✓		აკრედიტებულია 1 წლის ვადით
	6	კულტურული ტურიზმი	•	•												✓		რეაკრედიტებულია 7 წლით.
	7	ტელერეჟისურა	•	•														
	8	სამსახიობო ხელოვნება	•	•														
<b>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის მზადება</b>																		
მონიტორინგი	9	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება)	•	•	•											✓		აკრედიტებულია
	10	ფერწერა B	•	•	•	•	•	•	•	•	•					✓		
	11	მუსიკის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა								•	•	•	•	•				
	12	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა								•	•	•	•	•		✓		დაწყებულია საქმის წარმოება
	13	სცენოგრაფია M									•	•	•	•		✓		
<b>აქტიური საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები</b>																		
მონიტორინგი	14	დიზაინი	•							•						✓		
	15	შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა	•							•								
	16	სამშენებლო-შემოქმედებითი ხელოვნება	•							•								
	17	აუდიოვიზუალური ხელოვნება	•							•								
	18	სამუსიკო შემსრულებლობა	•							•								
	19	ტელერადიოჟურნალისტიკა	•							•								

